ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3462285

ნომერი: AR1530172

თარიღი : 09.08.2017

გაცემის თარიღი : 11.08.2017

გაცნობის თარიღი : 14.08.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარნოვი , N 92 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- თევდორე მღვდლის 48

ორგანიზაცია:

- შპს ბანი 2007 კოდი: 206316388

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 9 აგვისტოს AR1530172 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბარნოვის ქ. N92–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების მეორად გაზრდას.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.11.033.006) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1). დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2014 წლის 21 აგვისტოს №1440443 გადაწყვეტილებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 2015 წლის 07 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N1905 ბრძანებით ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=3,0-ით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 21–ე მუხლის თანახმად, ერთი და იგივე საკადასტრო ერთეულზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების მეორადი მატება არ არის დასაშვები.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონა შუალედური ზონა (შზ), რომელიც წარმოადგენს დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების საშუალო ხარისხის ნიშნით გამოყოფილ ტერიტორიულ ელემენტს.

ზემოთ აღნიშნული დადგენილების თანახმად შუალედურ ზონაში (შზ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ან/და საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობების ფუნქციის განვითარებისთვის დაუშვებელია განაშენიანების რეგულირების პარამეტრების (კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების) ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.